KA030147431838419

№ 01-2157 **04 / მარტი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ 2019 წლის 11-22 მარტს ქ. ნიუ-იორკში (აშშ), გაეროს შტაბ-ბინაში ტარდება გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის 63-ე სესია თემაზე: „სოციალური დაცვის სისტემები, საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობა და მდგრადი ინფრასტრუქტურა გენდერული თანასწორობისა და ქალთა და გოგონათა გაძლიერებისათვის“.

ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით, საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში განისაზღვრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის თამილა ბარკალაიას და სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორი მერი მაღლაფერიძის კანდიდატურები.

მრგვალი მაგიდის შეხვედრაზე გათვალისწინებულია მინისტრის მოადგილის სიტყვით გამოსვლა თემაზე: “Good practices in the provision of social protection, public services and sustainable infrastructure, including for recognizing and valuing unpaid care and domestic work”. აქვე გაცნობებთ, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების დაზუსტებისა და პოზიციების შეჯერების მიზნით, დელეგაციის წევრების წინამოსამზადებელი შეხვედრა დაგეგმილია 10 მარტს, ნიუ-იორკში გაეროსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის ოფისში.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ ქალბატონი თამილა ბარკალაიასთვის მივლინების ბრძანების გაფორმებას 2019 წლის 9 მარტიდან 17 მარტის ჩათვლით და მგზავრობის, სასტუმროს, დღიური ნორმისა და დღიურ ნორმაზე დანამატის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

მარიანა მკურნალი